

შპს „ფლო ჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი.....	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკების ძირითადი პრინციპები.....	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	18
5. ძირითადი საშუალებები.....	19
6. მარაგები.....	20
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	20
9. კაპიტალი.....	21
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
11. მიღებული სესხები.....	21
12. საგადასახადო ვალდებულებები.....	22
13. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	22
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	22
15. მარკეტინგის და მიწოდების ხარჯი.....	22
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
17. პირობითი ვალდებულებები.....	23
18. ფინანსური რისკების მართვა.....	23
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	27
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	28

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფლო ჯორჯია“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს აუდიტის ჩასატარებლად შპს „ფლო ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება კომპანიის აღრიცხული თუ აღურცხავი ძირითადი საშუალებების არსებობის, სისრულისა და ღირებულების შესახებ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შესაბამისად 4,343,689 ლარითა და 2,534,017 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურცხავ ძირითად საშუალებებზე, ასევე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ჩვენ დავესწარიტ და დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს, რომელიც ჩატარდა 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგების სისრულის, არსებობის, სიზუსტისა და ოდენობის სისწორეში, რადგან ბუღალტრული პროგრამის ნაკლოვანებების გამო ვერ მოხერხდა ინვენტარიზაციის შედეგის შედარება ბუღალტრულ ჩანაწერებთან. ზემოთ მოხსენიებული ბუღალტრული პროგრამის ნაკლოვანებების გამო, ჩვენ ვერ შევძელით ჩაგვეტარებინა მარაგებთან დაკავშირებით შემდეგი პროცედურები: დროში გამიჯვნის, თვითღირებულების ფორმულის სიზუსტის დადგენა, შესყიდვების შემოწმება და სხვა თანხმეობი პროცედურები, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება. შესაბამისად, ვერ შევძელით გაგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა შესაბამის მუხლებში, მარაგებსა და შესაბამისად მასთან დაკავშირებული თვითღირებულების გაანგარიშებაზე. დაუდასტურებელი მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია 6,062,767 ლარით, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია 4,123,544 ლარით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ თუ აღურცხავ მარაგებში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია 303,505 ლარით, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრისთვის: 2,248,776 ლარით. ჩვენ მესამე მხარისგან ვერ მოვიპოვეთ დასტურის წერილები საბოლოო ნაშთების შესახებ და ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით სავაჭრო ვალდებულებების ოდენობის დადასტურება. ჩვენ ასევე ვერ მოვახდინეთ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულებების გადაფასების ეფექტის დაანგარიშება, გამომდინარე იქიდან, რომ ბუღალტრული პროგრამა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დავაზუსტოთ უცხოურ ვალუტაში არსებული ღირებულებები. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სავაჭრო ვალდებულებებზე 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის შესაბამის ელემენტებზე ამავე თარიღებში დასრულებული წლებისთვის.

კომპანია საცალო მაღაზიების მეშვეობით ახორციელებს პროდუქციის პირადაპირ გაყიდვებს მომხარებლებზე და პერიოდულად სთავაზობს მათ სხვადასხვა გაყიდვების მასტიმულირებელ აქციებს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სრული ინფორმაცია და ვერ მოვახდინეთ ანალიზი იმის შესახებ, რომ აღნიშნული აქტივობები კომპანიას აღრიცხული აქვს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შემოსავლების აღიარების მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის შესაბამის ელემენტზე როგორც არის შემოსავალი

რეალიზაციიდან, რომლიც 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის წარმოდგენილია 22,527,664 ლარით, ხოლო 2021 წლისთვის წარმოდგენილია: 15,778,508 ლარით.

სხვა გარემოება - წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის არ არის აუდიტირებული.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, როგორც ეს აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

როგორც აღწერილია ზემოთ - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველის“ ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მრავალ ელემენტში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით.

ჩვენი აზრით, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორული დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი

აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2023 წლის 17 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

Member of Nexia International

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2023 წლის 17 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	4,343,689	2,534,017	1,271,713
		4,343,689	2,534,017	1,271,713
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	6,153,727	4,159,954	2,035,986
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	27,697	30,024	56,789
საგადასახადო აქტივი		-	143,467	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	6,950,281	3,238,091	861,837
		13,131,705	7,571,536	2,954,613
სულ აქტივები		17,475,394	10,105,553	4,226,326
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	8,000,000	8,000,000	8,000,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვებული ზარალი)		1,227,433	(3,050,608)	(4,591,621)
სულ კაპიტალი		9,227,433	4,949,392	3,408,379
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	11	118,225	392,163	-
		118,225	392,163	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	11	7,632,662	2,515,222	-
საგადასახადო ვალდებულებები	12	193,569	-	39,656
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	303,505	2,248,776	778,291
		8,129,735	4,763,998	817,947
სულ ვალდებულებები		8,247,960	5,156,161	817,947
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,475,394	10,105,553	4,226,326

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს:

მუსტაფა შადან ქესქინ
დირექტორი

დართული შენიშვნები 10-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	4,343,689	2,534,017	1,271,713
		4,343,689	2,534,017	1,271,713
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	6,153,727	4,159,954	2,035,986
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	27,697	30,024	56,789
საგადასახადო აქტივი		-	143,467	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	6,950,281	3,238,091	861,837
		13,131,705	7,571,536	2,954,613
სულ აქტივები		17,475,394	10,105,553	4,226,326
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	8,000,000	8,000,000	8,000,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვებული ზარალი)		1,227,433	(3,050,608)	(4,591,621)
სულ კაპიტალი		9,227,433	4,949,392	3,408,379
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	11	118,225	392,163	-
		118,225	392,163	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	11	7,632,662	2,515,222	-
საგადასახადო ვალდებულებები	12	193,569	-	39,656
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	303,505	2,248,776	778,291
		8,129,735	4,763,998	817,947
სულ ვალდებულებები		8,247,960	5,156,161	817,947
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,475,394	10,105,553	4,226,326

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს:

მუსტაფა შადან ქესქინ
დირექტორი



დართული შენიშვნები 10-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნები	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	22,527,664	15,778,508
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებები	14	(8,921,892)	(7,211,024)
საერთო მოგება		13,605,772	8,567,484
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები	15	(8,491,772)	(6,340,341)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(699,474)	(787,009)
სხვა შემოსავლები		3,710	145,563
საოპერაციო მოგება		4,418,237	1,585,697
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება		247,104	72,431
ფინანსური ხარჯი	11	(387,300)	(117,114)
მოგება დაბეგვრამდე		4,278,041	1,541,013
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		4,278,041	1,541,013
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,278,041	1,541,013

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს:

მუსტაფა შადან ქესქინ
დირექტორი

დართული შენიშვნები 10-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნები	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	22,527,664	15,778,508
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(8,921,892)	(7,211,024)
საერთო მოგება		13,605,772	8,567,484
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები	15	(8,491,772)	(6,340,341)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(699,474)	(787,009)
სხვა შემოსავლები		3,710	145,563
საოპერაციო მოგება		4,418,237	1,585,697
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება		247,104	72,431
ფინანსური ხარჯი	11	(387,300)	(117,114)
მოგება დაბეგვრამდე		4,278,041	1,541,013
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		4,278,041	1,541,013
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,278,041	1,541,013

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს:

მუსტაფა შადან ქესქინ
დირექტორი



დართული შენიშვნები 10-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გაწევიდან ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 9)	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 9)	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,000,000	(4,591,621)	3,408,379
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,541,013	1,541,013
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000,000	(3,050,608)	4,949,392
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,278,041	4,278,041
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000,000	1,227,433	9,227,433

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს:

 მუსტაფა შადან ქესქინ
 დირექტორი

დართული შენიშვნები 10-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 9)	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 9)	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,000,000	(4,591,621)	3,408,379
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,541,013	1,541,013
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000,000	(3,050,608)	4,949,392
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,278,041	4,278,041
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000,000	1,227,433	9,227,433

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს:

მუსტაფა შადან ქესქინ
დირექტორი



დართული შენიშვნები 10-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნები	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		4,278,041	1,541,013
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,586,897	1,444,837
ფინანსური ხარჯი	11	387,300	117,114
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	5	-	-
წმინდა ზარალი (მოგება) საკუროსო სხვაობიდან		(247,110)	(72,431)
		6,005,128	3,030,533
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ცვლილებები მარაგებში		(1,993,773)	(2,123,968)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		8,171	26,765
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,526,052)	1,552,706
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		337,036	(183,123)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,830,510	2,302,914
საპროცენტო ხარჯი	11	(357,688)	(117,114)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,472,822	2,185,799
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(3,396,569)	(2,707,140)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,396,569)	(2,707,140)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
მიღებული სესხები	11	7,593,796	3,112,225
სესხების დაფარვა	11	(2,561,539)	(192,335)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		5,032,257	2,919,890
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		4,108,510	2,398,549
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(396,320)	(22,295)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	8	3,238,091	861,837
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	8	6,950,281	3,238,091

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს:

მუსტაფა შადან ქესქინ
 დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნები	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		4,278,041	1,541,013
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვთა და ამორტიზაცია	5	1,586,897	1,444,837
ფინანსური ხარჯი	11	387,300	117,114
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	5	-	-
წმინდა ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობიდან		(247,110)	(72,431)
		6,005,128	3,030,533
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ცვლილებები მარაგებში		(1,993,773)	(2,123,968)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		8,171	26,765
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,526,052)	1,552,706
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		337,036	(183,123)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,830,510	2,302,914
საპროცენტო ხარჯი	11	(357,688)	(117,114)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,472,822	2,185,799
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(3,396,569)	(2,707,140)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,396,569)	(2,707,140)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
მიღებული სესხები	11	7,593,796	3,112,225
სესხების დაფარვა	11	(2,561,539)	(192,335)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		5,032,257	2,919,890
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		4,108,510	2,398,549
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტზე		(396,320)	(22,295)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	8	3,238,091	861,837
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	8	6,950,281	3,238,091

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს:

მუსტაფა შადან ქესქინ
დირექტორი



დართული შენიშვნები 10-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***1. შესავალი**

შპს „ფლო ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2016 წლის 10 ოქტომბრის დაფუძნდა და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნაკვ. 05,107.

2022, 2021 წლების 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია სს ფლო მაღაზაჯილიძე ვე ფაზარლამა (460233, 3880239429 თურქეთი) 100%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. შპს ფლო ჯორჯია არის უცხოური საწარმოს შვილობილი კომპანია საქართველოში და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ფეხსაცმელებითა და აქსესუარებით. 2020 წლის განმავლობაში საქმიანობას ეწეოდა თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში საოპერაციო იჯარის ფარგლებში სარგებლობის უფლებით მიღებულ სავაჭრო ფართებში.

კომპანიის დირექტორი არის მუსტაფა შადან ქესქინ.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის განაცხადი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2022 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა, რისი მოკლე შეჯამებაც მოცემულია ქვემოთ მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.

ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“).

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული უპირატესი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე მოგება-ზარალის ანგარიშში- „საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021	1 იანვარი, 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976	3.2766
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>	2022	2021	
1 USD/GEL	2.9156	3.2209	

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიაჩნდება, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-6
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორცაა:

- ▶ კომპანიის მიერ აქტივის გაომყენების რეჟიმი;
- ▶ სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ▶ ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- ▶ აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****ფინანსური ვალდებულებები**

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შემენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****გადახდილი ავანსები (გაგრძელება)**

გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ნაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან აკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავალის საიმედოდ შეფასება და ასევე,

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღე-ს ჩათვლით.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვეითებით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდემილებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრვლებული გასაწაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აქარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება

სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, ჯგუფი იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს. მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დამძვლებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01 იანვარი 2021	2,945,313	-	2,198,866	5,144,179
შეძენა	228,273	-	2,478,867	2,707,140
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	3,173,586	-	4,677,733	7,851,319
შეძენა	324,118	119,789	2,952,662	3,396,569
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	3,497,704	119,789	7,630,395	11,247,888
დაგროვილი ცვეთა				
01 იანვარი 2021	2,300,005	-	1,572,460	3,872,465
ცვეთის დარიცხვა	830,651	-	614,186	1,444,837
გასვლის ცვეთა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	3,130,656	-	2,186,646	5,317,302
ცვეთის დარიცხვა	327,485	12,650	1,246,762	1,586,897
გასვლის ცვეთა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	3,458,141	12,650	3,433,408	6,904,199
წმინდა საბალანსო ღირებულება				
01 იანვარი 2021	645,308	-	626,405	1,271,713
31 დეკემბერი 2021	42,930	-	2,491,087	2,534,017
31 დეკემბერი 2022	39,563	107,139	4,196,987	4,343,689

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2022 წლის დეკემბრის და 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია სრულად ძირითადი საშუალებებით.

6. მარაგები

მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
ფეხსაცმელი	5,146,051	3,785,511	1,942,303
აქსესუარები	441,041	258,841	72,612
ტექსტილი	566,635	115,602	21,071
სულ მარაგები	6,153,727	4,159,954	2,035,986

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	109,857	103,553	102,407
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	20,886	29,517	57,428
გაუფასურების რეზერვი	(103,046)	(103,046)	(103,046)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27,697	30,024	56,789

2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან. გაუფასურების რეზერვი მოიცავს ორ კომპანიის მოთხოვნების გაუფასურების ჯამურ ღირებულებას, რომელსაც კომპანიის მხრიდან დარეზერვებულია 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)	154,096	62,402	77,943
მოთხოვნისას გადასახადელი საბანკო ბალანსები, მათ შორის:	6,730,065	3,106,748	744,184
- ლარში დენომინირებული	2,785,471	2,180,547	26,819
- აშშ დოლარში დენომინირებული	3,944,594	926,201	717,365
ფულადი საშუალებები გზაში (ლარში დენომინირებული)	66,120	68,941	39,710
სულ ფულადი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,950,281	3,238,091	861,837

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

მოთხოვნამდე საბანკო ბალანსები 6,730,065 ლარის ოდენობით განთავსებული იყო “BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში ფიჩის რეიტინგის მიხედვით (2021 წლის 31 დეკემბერი: 3,106,748 ლარი; 2021 წლის 1 იანვარი: 744,185 ლარი).

9. კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სრულად შეტანილი 8,000,000 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	262,683	2,215,814	778,291
გადასახდელი ხელფასები	40,822	32,962	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	303,505	2,248,776	778,291

11. მიღებული სესხი

კომპანიის მიღებული სესხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კურსი	საპროცენტო განაკვეთი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი					
ფინანსური ინსტიტუტი	აშშ დოლარი	7.25%	118,225	392,163	-
მოკლევადიანი					
ფინანსური ინსტიტუტი	აშშ დოლარი	7%	-	2,276,736	-
ფინანსური ინსტიტუტი	აშშ დოლარი	7.25%	224,413	238,486	-
ფინანსური ინსტიტუტი	აშშ დოლარი	16%	5,430,584	-	-
ფინანსური ინსტიტუტი	ლარი		1,977,665	-	-
			7,750,887	2,907,385	-

სესხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
სესხების მოძრაობა:		
1 იანვრის მდგომარეობით	2,907,385	-
სესხების აღება	7,593,796	3,112,225
საპროცენტო ხარჯი	387,300	117,114
გადახდილი პროცენტი	(357,688)	(117,114)
სესხის ძირის დაფარვა	(2,561,539)	(192,335)
საკურსო სხვაობის გავლენა	(218,367)	(12,505)
31 დეკემბრის მდგომარეობით	7,750,887	2,907,385

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. საგადასახადო ვალდებულებები

გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად.

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2022 და 2021

წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
შემოსავალი ფეხსაცმლის რეალიზაციიდან	19,788,009	14,426,440
შემოსავალი ტექსტილის რეალიზაციიდან	1,222,304	679,110
შემოსავალი აქსესუარების რეალიზაციიდან	1,517,351	672,958
სულ შემოსავლები	22,527,664	15,778,508

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
რეალიზებული ფეხსაცმლის თვითღირებულება	7,941,076	6,627,987
რეალიზებული ტექსტილის თვითღირებულება	578,430	475,109
რეალიზებული აქსესორების თვითღირებულება	402,386	107,928
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8,921,892	7,211,024

15. მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები

კომპანიის მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
საიჯარო ხარჯი	3,751,314	2,998,450
ხელფასის ხარჯი	1,681,073	1,015,539
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,435,814	1,195,521
რეკლამის ხარჯი	337,811	353,724
ტრანსპორტირების ხარჯი	313,488	187,758
კომუნალური ხარჯი	308,029	166,960
მომსახურების ხარჯები	287,609	193,960
საკომისიო ხარჯი	172,276	125,758
დაზღვევის ხარჯი	46,773	22,380
წარმომადგენლობითი ხარჯი	43,607	1,464
სხვა	113,978	78,827
სულ მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები	8,491,772	6,340,341

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	269,744	253,239
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	151,083	249,316
მომსახურების ხარჯები	107,463	86,518
საგადასახადო ხარჯი	73,938	88,412
საკომისიო ხარჯები	46,986	31,155
საიჯარო ხარჯი	21,475	33,020
წარმომადგენლობითი ხარჯი	19,253	18,743
კომუნალური ხარჯი	3,915	2,348
სხვა	5,617	24,258
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	699,474	787,009

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***17. პირობითი ვალდებულებები****საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

18. ფინანსური რისკების მართვა**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს. მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. რადგან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო რეალიზაცია 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,811	507	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,796,185	3,175,689	783,894
სულ მაქსიმალური გავლენა რისკის მიმართ	6,802,996	3,176,196	783,894

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოემგება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	109,857	-	109,857
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,191,146	2,759,135	6,950,281
	4,301,003	2,759,135	7,060,138
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	1,977,666	5,773,221	7,750,887
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	303,505	-	303,505
	2,281,171	5,773,221	8,054,391
დია საბალანსო პოზიცია	2,019,831	(3,014,086)	(994,254)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103,553	-	103,553
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,057,544	2,180,547	3,238,091
	1,161,097	2,180,547	3,341,644
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	2,907,385	2,907,385
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	2,248,776
	2,248,776	2,907,385	5,156,161
დია საბალანსო პოზიცია	(1,087,679)	(726,838)	(1,814,517)

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკის მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2021
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	(602,817)	602,817	(145,368)	145,368

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც უპირატესად სესხებისგან შედგება. კომპანია სახსრებს აბანდებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეძლოს სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 8). მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფულადი საშუალებების ლიკვიდურობის პორტფელი შესაძლოა რეალიზდეს ნაღდ ფულზე ერთი დღის განმავლობაში, რათა დააკმაყოფილოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის შესაბამისად. ვადიანობის ცხრილში მოცემული თანხები არის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. აღნიშნული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოცემული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ეყრდნობა დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები დაკონვერტირებულია სპოტ სავალუტო კურსი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,810	-	6,810
ფული და ფულადი სახსრები	6,950,281	-	6,950,281
	6,957,091	-	6,957,091

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**ფინანსური ვალდებულებები**

მიღებული სესხები	7,632,663	118,225	7,750,887
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	303,505	-	303,505
	7,936,166	118,225	8,054,391
ლიკვიდურობის სხვაობა			
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(979,076)	(118,225)	(1,097,301)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	506	-	506
ფული და ფულადი სახსრები	3,238,091	-	3,238,091
	3,238,598	-	3,238,598
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	2,515,222	392,163	2,907,385
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,248,776	-	2,248,776
	4,763,998	392,163	5,156,161
ლიკვიდურობის სხვაობა			
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(1,525,400)	(392,163)	(1,917,563)

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს კომპანიი დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბარიზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკ ქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს გავითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად ურთიერთდაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი არიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთმხარეს შეუძლია, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022, 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

		31 დეკემბერი 2022	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მფლობელები		საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები
აქტივები			
გადახდილი ავანსები		104,673	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები		104,673	-
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	4,603
სულ ვალდებულებები		-	4,603

		31 დეკემბერი 2022	
2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება			მფლობელები
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები			192,927

		31 დეკემბერი 2021	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მფლობელები		საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,751,307	4,603
სულ ვალდებულებები		1,751,307	4,603

		31 დეკემბერი 2021	
2021 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება			მფლობელები
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები			19,776
სხვა შემოსავალი / (ხარჯი)			117,224

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება	1 იანვარი 2021	
	მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა	639,528	-
ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	639,528	-

2022 და 2021 წლებში ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 66,336 და 61,864 ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით. კომპანიას სხვა დაკავშირებული მხარე არ ჰყავს.

20. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***ისტორია, დაფუძნებლები და მმართველობა.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლო ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) შექმნილია და წარმოადგენს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია დაფუძნებულია 10 ოქტომბერს 2016 წელს და საქმიანობას ეწევა საცალო ვაჭრობას ფეხსაცმელების, ტექსტილის მაღაზია ფლოს და INSTREET-ის სახელით. თბილისში გახსნილია - 5 ფლოს მაღაზია და 2 INSTREET.

ზუგდიდში წარმოდგენილია ფლოს ერთი მაღაზია, რუსთაველში ასევე ფლოს მაღაზია და ბათუმში ერთი ფლო და ერთი ინსტრიტის მაღაზია.

შპს „ფლო ჯორჯიას“ მმართველობას ახორციელებს 100% წილის მფობელი, სააქციო საზოგადოება ფლო მაღაზაჯილიძე ვე ფაზარლამა, 460233, 3880239429 დირექტორი - მუსტაფა შადან ქესქინი.

საქმიანობის დაწყების დღიდან, კომპანიის გაფართოების კვალდაკვალ იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც. 2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 140 ადამიანამდე, რაც გამოწვეული იყო რაოდენიმე ფილიალის გახსნით.

დასაქმებულთა რაოდენობა

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. იგი აქტიურად თანამშრომლობს დღეს ქვეყანაში მოქმედ წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საიდანაც მუდმივად ხდება ახალგაზრდა კადრების რეკრუტირება როგორც სტაჟირებისთვის, ასევე დასაქმებისთვის. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში. კომპანიის ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას თანამშრომელთა კარიერული განვითარების ეფექტური მართვა და მათი მუდმივი კმაყოფილების კვლევა წარმოადგენს. თანამშრომლების კარიერის მართვის პროცესი მიზნად ისახავს შესაბამისი ცოდნის, პოტენციალისა და გამოცდილების მქონე პერსონალის წახალისებას, პროფესიული განვითარების, შემდგომი კარიერული ზრდისა და შენარჩუნების ხელშეწყობას. კარიერული განვითარების სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებით, მნიშვნელოვნად ვამცირებთ კვალიფიციური და მოთხოვნადი სპეციალისტების გადინებას კომპანიიდან.

თანამშრომელთა განვითარებისა და სამუშაო პროდუქტიულობის მიზნით ძირითადად შემდეგი ტიპის მეთოდებს მივმართავთ : პროფესიული ტრენინგები, მენტორინგი, როტაცია, თანამშრომლის საქმიანობიდან და მიღწევიდან გამომდინარე SMART პრინციპზე მორგებული - მაქსიმალურად მოქნილი და გამჭვირვალე თანამშრომელთა შეფასების სისტემა. ყოველივე ეს კი ეხმარება კომპანიას იყოს წარმატებული, ხოლო თანამშრომლებმა ღირებულად იგრძნონ თავი. რაც შეეხება რეკრუტირების პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ტალანტების მოზიდვას, კომპანიაში საჭიროებიდან გამომდინარე ხორციელდება როგორც სტანდარტული დასაქმების პორტალებისა და სოციალური არხების მეშვეობით, ისე ქვეყანაში მოქმედ წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დიდ სარგებელს იძლევა. როდესაც საქმე ახალი თანამშრომლის აყვანას ეხება, დიდი ყურადღება ექცევა პიროვნების ძლიერი მხარეების, უნარების, გამოცდილებისა და ცოდნის დაბალანსებას, სხვა ფაქტორებთან ერთად.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2021 ჩატარდა და მომავალშიც იგეგმება თანამშრომელთა გარკვეული ნაწილის კვალიფიკაციის ამაღლება უსაფრთხოების კუთხით, რომელსაც წარუდგება შესაბამისი კომპეტენციის მქონე, მოწვეული სპეციალისტი. კომპანია დიდი ხანია თანამშრომლობს თანამშრომლების უსაფრთხოებაზე მორგებულ კომპანია საფკოსთან, რომელიც ყოველთვიურად აწარმოებს მაღაზიების მონიტორინგს და იძლევა სტანდარტებთან შესაბამის რეკომენდაციებს.

ფილიალები და შეთავაზებული პროდუქტები

შპს ფლო ჯორჯიას-ს იურიდიული მისამართია: საქრთველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნაკვ.05/107. საქმიანობას ეწევა საცალო ვაჭრობას ფეხსაცმელების, ტექსტილის მაღაზია ფლოს და INSTREET-ის სახელით.

თბილისში გახსნილია - 5 ფლოს მაღაზია და 2 INSTREET.

ზუგდიდში წარმოდგენილია ფლოს ერთი მაღაზია, რუსთაველი ასევე ფლოს მაღაზია და ბათუმში ერთი ფლო და ერთი ინსტრეტი მაღაზია.

წესდებით განსაზღვრული საქმიანობის საგანს წარმოადგენს ნებისმიერი სახის სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას, რაც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

დასახული მიზნების მისაღწევად კომპანია ახორციელებს საქმიანობის შემდეგ სახეებს: იმპორტი ფეხსაცმელების და ტანსაცმლის და რეალიზაცია ზემოთჩამოთვლილ მაღაზიებში.

დღეის მდგომარეობით კომპანია მყარადაა წარმოდგენილი, როგორც ერთერთი ლიდერი კომპანია ფეხსაცმელების რეალიზაციის დარგში. იგი ბაზარზე ცნობილია ბრენდით „ფლო“ და „ინსტრეტი“. კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს რენტაბელობის გაძლიერება, ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის ძირითადი პრიორიტეტები მიღწევები

კომპანიამ დაფუძნების დღიდან მიზნად დაისახა, რომ მომხმარებელს შესთავაზოს მხოლოდ საშუალო და მაღალი ხარისხის პროდუქცია, ამ მიზნით ხორციელდება კარგი ხარისხის და ვიზუალის ტანსაცმელის და ფეხსაცმელის იმპორტი რაც განაპირობებს კიდევ კომპანიის პროდუქციის მაღალ ხარისხს და შესაბამისად მომხმარებელთა კმაყოფილებასა და გაზრდილ მოთხოვნას.

კომპანია აქტიურად და მუდმივად მუშაობს თანამშრომლების სერთიფიცირებულ ტრენინგზე პირველად დახმარებასთან დაკავშირებით.

აქტიურად მიმდინარეობს პერსონალის პირადი ჰიგიენის, ჯანმრთელობის და მავნებლის კონტროლი, საცალო ვაჭრობის კერძოდ ფეხსაცმელების და ტექსტილის რეალიზაციის მიმართულებით, კომპანიის უდიდესი პრიორიტეტი არის ის რომ მას გაჩნია ქალის, მამაკაცის, ბავშვის და მოზარდის როგორც კლასიკური ასევე სპორტული ფეხსაცმელები ფართო არჩევანი. ეკონომიკის სწრაფი ზრდა ხელს უწყობს მომხმარებლის დონის ზრდას ქვეყანაში.

2021 წელს ქვეყანაში არსებულმა პანდემიამ ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე დააყენა კომპანია, თუმცა ფლო ჯორჯიას თურქეთის წარმომადგენლობა მაქსიმალურად მხარში დაუდგა საქართველოს თანამშრომლებს რათა მათ ღირსეულად დაეძლიათ ეს კრიზისი. ფლო ჯორჯია საჭიროებისამებრ უზრუნველყოფდა სადეზინფექციო მასალალებით და დასუფთავების მომსახურებით ყველა მაღაზიას, ასევე ლოქდაუნის დროს თანამშრომლების ტრანსპორტირებას ტაქსით. მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობა და კონტაქტი. ამ მიმართულებით, ფეისბუქ გვერდის საშუალებით, მარკეტინგის კუთხით, აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება

ტექნოლოგიების დახვეწით, სიახლეების დანერგვით, მომხმარებლის სურვილების გათვალისწინებით და მათზე მუდმივი ზრუნვით, შპს ფლო ჯორჯია კვლავ შექმნის ჯანსაღ პროდუქტს, მათთვის სასურველ დიზაინს, ხარისხს, განაგრძობს რითილ სექტორში თანამედროვე პროდუქტის იმპორტს და რეალიზებას რათა მომხმარებელს მოთხოვნები მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი პრეტენზიებისა და შენიშვნების გათვალისწინებით.

ახალი პროდუქციის შექმნის და სხვადასხვა სიახლეების შესახებ ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მომხმარებელთან.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ბაზარზე, რითეილ სფეროში, ლიდერის პოზიციის შენარჩუნების მიზნით, იგეგმება ახალი ბრენდის შემოყვანა (REBOK) არსებული პროდუქციის პაკეტური სახით შეთავაზება მომხმარებლისთვის და მოთხოვნიდან გამომდინარე, სტრატეგიული ლოკაციების ახალი ფილიალებით ათვისება.

კომპანიის მარკეტინგული გეგმის ძირითადი მიზანია, სხვა და სხვა აქციებზე ან/და ფასდაკლებებზე ინფორმაციის მიწოდება ქვეყნის მასშტაბით. ძირითადი პლატფორმები რომლითაც ვსარგებლობთ არის რადიო და სმს შეტყობინებები, ბანერები და მაღაზიის ვიტრინების ვიზუალიზაცია.

ფინანსური მაჩვენებლები**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

სულ აქტივები

2022

17,475,394

2021

10,105,553

სულ კაპიტალი

9,227,433

4,949,392

სულ ვალდებულებები

8,247,960

5,156,161

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

17,475,394

10,105,553

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შემოსავალი

2022

22,527,664

2021

15,778,508

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

(8,921,892)

(7,211,024)

საერთო მოგება

13,605,773**8,567,483**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

(699,474)

(787,009)

მარკეტინგისა და მიწოდების ხარჯები

(8,491,772)

(6,340,341)

სხვა შემოსავლები/(ხარჯები)

3,710

145,563

საოპერაციო მოგება

4,418,237**1,585,697**

ფინანსური ხარჯი

(387,300)

(117,114)

წმინდა ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯი)

247,104

72,431

მოგება დაბეგვრამდე

4,278,041**1,541,013**

მოგების გადასახადი

-

-

წმინდა მოგება

4,278,041**1,541,013**

სხვა სრული შემოსავალი/ (ზარალი)

-

-

წლის მთლიანი სრული შემოსავალი

4,278,041**1,541,013****სამომავლო გეგმები**

კომპანიის სამომავლო გეგმების ძირითადი მიმართულებებია: ახალი ლოკაციების დამატება. კერძოდ, ახალი, მრავალფუნქციური ფილიალის გახსნა ვაკე-საბურთალოს რაიონში და საქართველოს მასშტაბით. კომპანია 2024 წელს გეგმავს ქალაქგარეთ, კერძოდ ქუთაისში ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და შემდგომში მაღალ განვითარებას მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.

მუსტაფა შადან ქესქინ

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ბაზარზე, რითილ სფეროში, ლიდერის პოზიციის შენარჩუნების მიზნით, იგეგმება ახალი ბრენდის შემოყვანა (REBOK) არსებული პროდუქციის პაკეტური სახით შეთავაზება მომხმარებლისთვის და მოთხოვნიდან გამომდინარე, სტრატეგიული ლოკაციების ახალი ფილიალებით ათვისება.

კომპანიის მარკეტინგული გეგმის ძირითადი მიზანია, სხვა და სხვა აქციებზე ან/და ფასდაკლებებზე ინფორმაციის მიწოდება ქვეყნის მასშტაბით. ძირითადი პლატფორმები რომლითაც ვსარგებლობთ არის რადიო და სმს შეტყობინებები, ბანერები და მაღაზიის ვიტრინების ვიზუალიზაცია.

ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2022	2021
სულ აქტივები	17,475,394	10,105,553
სულ კაპიტალი	9,227,433	4,949,392
სულ ვალდებულებები	8,247,960	5,156,161
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	17,475,394	10,105,553
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2022	2021
შემოსავალი	22,527,664	15,778,508
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8,921,892)	(7,211,024)
საერთო მოგება	13,605,773	8,567,483
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(699,474)	(787,009)
მარკეტინგისა და მიწოდების ხარჯები	(8,491,772)	(6,340,341)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	3,710	145,563
საოპერაციო მოგება	4,418,237	1,585,697
ფინანსური ხარჯი	(387,300)	(117,114)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯი)	247,104	72,431
მოგება დაბეგვრამდე	4,278,041	1,541,013
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	4,278,041	1,541,013
სხვა სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,278,041	1,541,013

სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმების ძირითადი მიმართულებებია: ახალი ლოკაციების დამატება. კერძოდ, ახალი, მრავალფუნქციური ფილიალის გახსნა ვაკე-საბურთალოს რაიონში და საქართველოს მასშტაბით. კომპანია 2024 წელს გეგმავს ქალაქგარეთ, კერძოდ ქუთაისში ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და შემდგომში მაღალ განვითარებას მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.

მუსტაფა შადან ქესქინ

